ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 29 სექტემბერი № 1596

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.**

26 ენკენისთვეს უეცრად გარდაიცვალა

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა შვილები განსვენებულისა. პანაშვიდები—ყოველ დღე საღამოს 8 საათზე. გასვენება მიცვალებულისა—კვირას 30 ენკენისთვეს, დილის $9^{1}/_{2}$ საათზე, დიდიდუბის ეკკლესიაში. (მიხეილის პროსპექტი სახლი № 180). (3—2)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, №16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო უმორჩილესად სთხოვს საზოგადოების წევრთ მობრძანდნენ **სადღესასწაულო სხდომაზე**, რომელიც მოხდება კვირას, 30 სექტემბერს, საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზე, საზოგადოების სადგომში, აღსანიშნავად საზოგადოების 50 წლის არსებობის შესრულებისა. (2—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.
ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის ავათმყოფნი 10—11.
ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.
ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.
ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.
ი. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.
ვ. ლ. მარქევიჩი—სადოსტაქრო $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.
ი. დ. გეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^{1}/_{2}$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.
გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ტელეფონი № 274. (წლ.)

სკოლა და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა

სლეპცოვის ქუჩა, № 13, ოლგას ვიწრო ქუჩის (Ольгинскій переулокъ) მახლობლად.

ამზადებენ ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის. (5—174—3)

არტისტიულ საზოგადოების დარბაზში
შაბათს, 29 სექტემბერს, დანიშნულია

კონცერტი

ცნობილის პიანისტის-ქალი

რ. ი. ჩერნეცკაიასი

ბილეთები 5 მანეთიდან 1 მ. 20 კაპ.-მდე; მოსწავლეთათვის 50 კაპ. ისყიდება სუზანაჯიანცის მუსიკალურ მაღაზიაში. (2—2)

საიუბილეო დღეები

გუშინ, 28 სექტემბერს, ტფილისის საქალაქო მმართველობამ, ქალაქ ტფილისის სახელით, სადღესასწაულო საუზმე გამართა.

მეთორმეტე საათზე დაიწყეს შეგროვება საუზმეზე მიპატიჟებულთ „ტფილისის სობრანიე“-ს საზამთრო სადგომში, მანთაშევის სახლში. საუზმეზე მრავალი იყო მიპატიჟებული. მოვიდნენ: საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე, მარლმადიდებელი ეპისკოპოსები, სომხეთა კათალიკოსი მკრტიჩი, მაჰმადიანთა და ებრაელთა სასულიერო მმართველნი, სამხედრო და სამოქალაქო ყველა უწყებათა წარმომადგენელნი, ტფილისში სამოსულნი საპატიო პირნი და სხვები; სულ 800-მდე კაცი. მიწვეულთ ეგებებოდნენ ქალაქის გამგეობის წევრნი და ხმოსნები—საუზმის მასპინძელნი.

$12^{1}/_{2}$ საათზე დარბაზში შემობრძანდნენ უავგუსტოესი სტუმარნი და დაიწყო საუზმე. უმთავრეს დარბაზში დაბრძანდნენ უავგუსტოესი პირნი და წარჩინებულნი სტუმარნი, სხვებისთვის სუფრა სხვა ოთახებში იყო გაშლილი.

საუზმეზე პირველი სადღეგრძელო დალია ქალაქის თავის მოადგილემ მ. ს. შესტაკოვმა; მან ადღეგრძელა ხელმწიფე იმპერატორი; სადღეგრძელო დამსწრეთ „ურასა“ და „ვაშას“ ძახილით მიიღეს. შემდეგ ბ. შესტაკოვმა დალია სადღეგრძელოები ხელმწიფე-დედოფლების მარიამ თეოდორეს ასულისა, ალექსანდრა თეოდორეს ასულისა და ხელმწიფე მემკვიდრისა. გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა ადღეგრძელა ელინთა დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული. შემდეგ ბ. შესტაკოვმა ადღეგრძელა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და დანარჩენი უმაღლესნი პირნი. დაილია აგრეთვე სადღეგრძელოები ყველა დამსწრე საპატიო პირთა. დასასრულ, მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა ადღეგრძელა მასპინძელნი—ქალაქის გამგეობის წევრები და ხმოსნები.

ამავე დროს, „სობრანიე“-ს სადგომის წინ, ტროტუარზე, გაშლილი იყო სუფრა ტფილისის ამქრების წარმომადგენელთათვის.

მესამე საათზე უავგუსტოესნი სტუმარნი გამოეთხოვნენ უხვ მასპინძლებს და სასახლეში დაბრუნდნენ. დაიშალნენ სხვა მიწვეულნიც.

საღამოს 9 საათზე უავგუსტოეს სტუმართა და წარჩინებულ პირთათვის „კრუჟოკ“-ის დარბაზში გაიმართა ჩაი. მეთერთმეტე საათის დასაწყისს უავგუსტოესი სტუმარნი წაბრძანდნენ რკინის გზის სადგურზე; აუარებელი ხალხი იდგა ქუჩებზე და ეთხოვებოდა ძვირფასს სტუმრებს. საღამოს მეთორმეტე საათზე დაიძრა საგანგებო მატარებელი, რომლით მისი უდიდებულესობა ელლინთა დედოფალი შვილებით ანდრიათი და ქრისტეფორეთი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე, დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის-ძე, დიდი მთავარი გიორგა მიხეილის-ძე და მეუღლე მისი მარიამ გიორგის ასული და დიდი მთავრინა ელენე ვლადიმირის ასული ტფილისიდან წაბრძანდნენ.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

27 სექტემბერი

პენზა. 27 სექტემბერს ჩამოვიდა თავის უწყების დაწესებულებათა სარევიზიოდ გამიჯვნის ნაწილის მმართველი სენატორი შმემანი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ვოლგაზე გემების მიმოსვლა მეტად გაჭირვებულია. სამგზავრო გემები მეტად იგვიანებენ, რადგან წყალმა მეტად იკლო; ორ უკანასკნელ დღის

ფელეტონი

სასცენო სურათები

4 სანახავი.

თალალა და ნიკოლა.

ნიკოლა (შემოდის). რა ამბავი მოგსვლიათ? რაზედ დამიბარეთ?

თალალა (გაბრაზებული მივარდება.) ეს რა ცეცხლი ჩამომიგდე სახლში, ჰა? რაზედ გამომჭერ ყელი, რაზედ დამიღუპე ქალი, ჰა?.

ნიკოლა. მაიცა, მაიცა! ნელა... რა მოხდა, გამაგებინე?

თალალა. შენც მითომ ნათესავი ხარ, გულ-შემატკივარი და ქალი გამიბედნიერე! არმად გექცეთ ყველას ჩემი ამაგი! ცხვირში ძმრად წამოგივიდეთ ჩემი პურ-მარილი! (თავისთვის.) ქა, გენაცვალეთ, ეს რა ცეცხლი გამიჩნდა!..

ნიკოლა. ადამიანო, ხატის ქადაგი ხომ არ ხარ, მითხარი და, რა მოხდა? ვაიი!

თალალა. რა გინდოდა ჩემგან? რაზედ მომიწამლე ტკბილი ცხოვრება? რაზედ გამიუბედურე ჩემი ერთად ერთი ქალი, რომელზედაც მზე და მთვარე ამომდიოდა?!..

ნიკოლა (პირჯვარს იწერს). ღმერთო, შენ დამიფარე! ვინ რა გიყოთ, არ იტყვი?

თალალა (განაგრძობს). ბაშვი დამიქლერქა, სიცოცხლეს ამწარებს! ახლო არ იკარებს!.. სულ რაღასაც ბუზღუნობს... ჭამა ჩვენთვის არ არის, ძილი და მოსვენება!.. ქა, გენაცვალეთ, ცეცხლი არ არის: არავისი არაფერი არ გემართოს და შენ ჰერ ქვეშ, შენს ქონებაზე ვერ ისიამოვნო!.. (ნიკოლას) რას გახევებულხარ? ამაზე მეტი აღარ შემიძლიან! ან მე უნდა ვიყო, ან შენ?..

ნიკოლა. ვაიი! ვის რა ვუყო? კაცი მოვკლა? მერე ვინა?!

თალალა. როგორც დაიწყე საქმე და ყველაფერი აწეწე, ისე გაასწორე კიდეც, თორემ, მამა ჩემი არ წამიწყდება, ცოცხალი არ გადამირჩები!

ნიკოლა (თავისთვის). აქ როგორღაც იმ რჯულ-ძაღლი შავი კატის ნარბენსა ვხედავ! (იმას) სიძეს ემდური, ჰო? ეგრე სთქვი და! მერე რა ჩაიდინა?

თალალა (დაჯდება). რაზე დამღუპე, რაზე შემოიყვანე სახლში?

ნიკოლა. ვა, მე რაზე დაგღუპე, შენი გულის წუხილი ეგ არ იყო?—«ნასწავლი სიძე მინდა და ნასწავლი!». ეგეც შენი „ნასწავლი“...

თალალა. კაცო! შვილო! ძმაო! ორი თვეა, ჩვენ სახლშია და სიცოცხლე გაგვიმწარა: პურს ჩვენთან არა სჭამს, არ გველაპარაკება, ბავშვს უტევს... პირველად არაფრად მივიჩნიე და ვეალერსებოდი, ფულს, რამდენსაც მომთხოვდა, ვაძლევდი... ვსთქვი, თუ კაცი ყოველთვის ერთ გუნებაზე არ იქნება, დღეს-ხვალ გაუვლის. რომ აღარ იქნა! რაც დღე გავიდა, უარესი და უარესი დაიწყო. ბოლოს გამომიცხადა, აქ ცხოვრება არ შემიძლიან, რასაც დაპირებული ხართ, მომეცით და ჩემ ცოლს წავიყვანო, თუ არა და თქვენი ქალი თქვენთან იყოსო! გაიგე, კაცო?

ნიკოლა. ვა, რას ემართლები, ჭკვიანი ბიჭი ყოფილა!

თალალა. ჰო, მაშ! სახლი გავყიდო, ნაღდი ჩავუთვალო, ფული შეჭამოს, ქალი უპატრონოდ მომიკლას; მეც ქუჩაში დავრჩე ცის ქვეშ! ეს სადაური ვინა ყოფილა! თუ არა და, ესეთი პირობა ვინ დაუდო?

ნიკოლა. ფული ბევრი აქვს წაღებული?

თალალა. ვა, მაშ! ექვსასამდის...

ნიკოლა. მერე ბარათები ხომ გაქვს?

თალალა. ვა, უბარათოდ რას მივცემდი!

ნიკოლა (იქით). მეც რა უმანკო ანგელოზს ველაპარაკები! (იმას) ის ბარათები შეინახე.

თალალა. იცოდე, ეს საქმე ან სიცოცხლით უნდა გადაწყდეს, ან სიკვდილით! მართლა რომ თავი დაგვანებოს და წავიდეს, ხომ გამოგვეჭრა ყელი, ქვეყანაში გამოვწყდით! აბა მერე სადა ვსდიო?..

ნიკოლა (თავისთვის). ლაზრუას ანდაზა მართლდება: „კატამ შეჭამა ძეხვიო“...(იმას) კარგია, შედი შენს ოთახში, მე მოველაპარაკები.

თალალა. ფეხსაც არ მოვიცლი! ერთი ვნახოთ, რა საბუთს იტყვის!

ნიკოლა. ადამიანო! ახლა აყალ-მაყალს ნუკი ასტეხავ! თავი დაგვანებე, ადამიანურად მოვილაპარაკოთ...

თალალა (ღვარძლით). შენი ფეხის ჭირიმე! „ადამიანურად!“ ფუქსავატო! სალახანავ!

ნიკოლა (გაჯავრებული). თუ ეგრეა და, ჯანი წაგივიდეთ, რაც გინდა, ქენით! თქვენ ყველანი ხატის გიჟები ხართ! (ჩქარა მიდის).

თალალა (გამოუდგება, სტაცებს ხელს და წინ მოათრევს). სად მოუსვლელთში მისდიხარ, რომ მისდიხარ? ე მანდ ფეხი არ მოიცვალო, თორემ სიცოცხლეს ჩაგიმწარებ! საქმე აწეწ-დაწეწე და ეხლა მისდიხარ? ის ერთი შვილი არ მომიკვდება, დღესვე ან ავად, ან კარგად გაათავე საქმე, თორემ ცოცხალი არ გადამირჩები! შე ამოსაწყვეტის ჯიშისავ და გვარისავ! გამაბი ხათაში და ეხლა თავიდან მიშორებ? გეუბნები, ეხლავე გაათავე საქმე მეთქი!..

ნიკოლა (გაჯავრებული). მომშორდი რაღა თავიდან! (იქით.) სწორედ ტარტაროზია, ანტექრისტეს დედა!...

---

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 1595.

ეროვნული

განმავლობაში თხელ წყალში 4 გემი დაიღუპა.

ხარკოვი. საადგილ-მამულო ბანკის აქციონერთა კრებამ მიიღო გამგეობის წინადადება ძველ აქციების მოსპობისა და ახლების გამოცემის შესახებ, მაგრამ ისე კი, რომ წინანდელ ყოველ ექვს აქციაზე გამოიცეს ხუთი, 200 მან. თითოეული; შეიძლება აქციონერმა წინანდელი რიცხვი აქციებისა მიიღოს, მაგრამ თითო აქციაზე უნდა გადაიხადოს 33 მ. 34 კ. ზედ-მეტი ამ გვარად უნდა გამოიცეს კიდევ 7000 აქცია და ძირითადი თანხა ავა 9.700,000 მანეთამდე. გარდა ამისა კრებამ დაადგინა ხელ-ახლა ამოირჩიონ სარევიზიო კომისიის წევრები, ექვსის მაგიერ ხუთი, და დაუნიშნონ ჯამაგირები გამგეობის წევრს—6000 მ. დამფასებელს 3000 და რევიზორს—2500 მან.

კრადოკი. 26 სექტემბერს ჯარების თანადასწრებით ბაზრის მოედანზე გამოიყვანეს 53 აჯანყებული კაპის ახალშენიდან (ლოტერის რაზმთან დაატყვევეს) მოსასმენად გარდაწყვეტილებისა, რომლის ძალით ისინი უნდა ჩამოეხრჩოთ, მაგრამ კიტჩენერმა ჩამოხრჩობა სამუდამო დაპატიმრებად შეუცვალა მათ სასჯელი.

პეკინი. პრინც ცინმა სთხოვა წერილობით ყველა უცხოელ ელჩებს, რომ გადაიტანონ პეკინიდან სავაჭრო უბნები, რადგან პეკინი არ არის ვაჭრობისათვის ღია ნავთსადგურიო.

ლონდონი „ტაიმსის“ ცნობებით, გენერალი ბოტა, როგორც სჩანს, ხელიდან გაუძვრა ინგლისის ჯარებს, რომელნიც მას გარს ეხვივნენ. ბოტა მიდის ზულუსების მიწის საზღვარზედ ჩრდილოეთისაკენ. კვირას ბოტამ მოახერხა ნახევარ თავის ჯარით ინგლისელ ჯარების წრის გავლა.

პარიზი. დედოფალ ნატალიას ახლო წრეები კატეგორიულად უარჰყოფენ ხმას, ვითომც დედოფალს კათოლიკობა მიეღოს. გაზეთ „ტანში“ დაბეჭდილია, როგორც სჩანს, ოფიციალური დეპეშა ბელგრადიდან, რომ დედოფალი ნატალია წინანდებურად ერთგულია მართლმადიდებლობისა და რუსულეროვნებისა.

საფრანგეთის დიპლომატიური წრეები აღარ ეჭვობენ, რომ აბდურ-რაჰმანის მემკვიდრედ ცნობილ იქმნება მისი უფროსი შვილი ხაბი-ბულა, რომელიც უყვართ ავღანის ყველა გუბერნატორებსა და აფიცრებს.

საფრანგეთისა და ოსმალეთის დამოკიდებულებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ბელგრადი. კრუშევაში, სადაც მეფე-დედოფალს მოელოდნენ, მოხდა აფეთქება თოფის წამლისა ერთის ვაჭრის გაუფრთხილებლობის გამო. დაიწვა 12 სახლი და დუქანი. 3 კაცი მოკლულია და 14 მძიმედ დაშავებული, მათ შორის 3 ჟანდარმიც. მეფე-დედოფალი აღარ მოვა.

ბერლინი. სამხრეთ რუსეთის რკინისგზების 4% ობლიგაციებზე ხელის მოწერა დაიხურა, რადგან დაწყებისათანვე გაიყიდა ყველა ქაღალდები.

სარატოვი. მთავრობამ გადასდო ქალაქის გამგეობის განკარგულებაში სტაროეჩიეში სამუშაოსათვის 39.000 მ. სარატოვის გუბერნიის დამშეულთათვის ნაყიდია მილიონ ფუთამდე პური.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხრეთ-აფრიკა. დღეს, 29 სექტემბერს, საღამოთი ორი წელიწადი შესრულდება მას აქეთ, რაც ბურების ჯარი კრონიეს წინამძღოლობით ინგლისის საბძანებელში შეიჭრა. დღეს ორი წელიწადი გახდება; რაც ბურების ორი პატარა რესპუბლიკა ინგლისის ურიცხვ ჯარს ებრძვის. ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკის მოქალაქეებმა სთქვეს: «სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი» და ინგლისელ იმპერიალისტებს, ინგლისელ კაპიტალისტებს, ბრძოლა გამოუცხადეს. ორი სრული წელიწადი გასაკვირველის ძმურის თანხმობით იბრძვის ორივე რესპუბლიკა.

ბურებმა წინადვე დაიკვეხეს, მთელს კაცობრიობას გავაკვირვებთ ჩვენის მედგარის ბრძოლითაო და არც გამტყუნდნენ. სრული ორი წელიწადი მთელი ქვეყნიერობა გაშტერებული უცქერის ბურების თავ-განწირულ ბრძოლას. ბურები რომ ღმერთს გაუჩენია, სწორედ ბრძოლისათვის გაუჩენია, პატივისცემის, თანაგრძნობის ღირსი კი მარტო ისაა ამ წუთისოფელში, ვინც იბრძვის, ვინც სიცოცხლეს სწირავს თავისუფლებისათვის, აგი მთელი განათლებული კაცობრიობაც სულით და გულით თანაუგრძნობს ბურებს და ორივე რესპუბლიკის საქმე თავისს საკუთარ საქმედ მიაჩნია.

ვაჟკაცობისა, გმირობის გარდა, ბურებმა თავიანთ კაცურ-კაცობით, ღვთისნიერობით და პატიოსნებითაც გააკვირვეს ქვეყანა. ბურებში დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა ნამდვილი კაცები-ადამიანები ყოფილან. მტრისთვისაც კი საამურები არიან. ბურების პატიოსნება, უანგარობა, გულ-კეთილობა სწორედ რომ უმაგალითოა. კაცობრიობა დარწმუნდა, რომ სამხრეთ-აფრიკელი გმირები სასახელონი არიან მთელი ქვეყნიერობისათვის, მათი რესპუბლიკების მოსპობა დიდი უსამართლობა, დიდი უღვთობა იქმნება.

ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი გაჭირვება, ბევრი განსაცდელი გამოიარეს ბურებმა, მით მაინც და მაინც გული არ გასტეხიათ, თავიანთ წმინდა საქმისათვის ღალატი ფიქრადაც არ მოსვლიათ. დღემდე იმათი სათქმელი, იმათი გულის პასუხი ერთი და იგივეა: ან სულ გავწყდებით, ან გავიმარჯვებთ, ანუ «სრული განკურნება, ანუ მიწა მე სამარი». ბურებს დღესაც მტკიცედ სწამთ: «ცუდად არ ჩაივლის ჩვენი განწირული სულის კვეთება» და უსათუოდ გამარჯვებით გათავდებაო.

ჯერ არავინ გადადებულა თავისუფალ მოქალაქე ბურებზე, ჯერ არავის დაუდგამს მონების უღელი თავისუფალ რესპუბლიკების ქედზე, ბურები მამათ-პაპით თავისუფალი ყოფილან, არც არავისი ყმა ყოფილან, არც არავინ ყმად ჰყოლიათ და მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ საუკუნოდ თავისუფლები დარჩებიან. გაუმარჯოთ ბურებს, გაუმარჯოს თავისუფალ რესპუბლიკებს!

✿ «მორნინგ პოსტა»-ს სწერენ ბრიუსელიდან: ბურების დელეგატებს ამბავი მოუვიდათ სამხრეთ-აფრიკიდან, ამ ჟამად ბურებს 25 ათასი მეომარი ეყოლებათ, ამათში 10 ათასი კაპელი კოლონისტია.

✿ «ტაიმს»-ს სწერენ სამხრეთ-აფრიკიდან: «ლორდ კიტჩენერი ნებას არავის აძლევს ტრანსვაალში დაბრუნდეს და მაღნებში მუშაობა დაიწყოს. მთავარ-სარდალი ამბობს: თუ ბურებმა ხელ-ახლად მატარებლების მსხვრევა და სურსათის გათხრება დაიწყეს,—როგორც გამოვგზავნო ან ხალხი ან ჯარიო. რომელსაც სურსათი სამხედრო ბანაკებში ბურების ცოლ-შვილისათვის მიაქვს, ამისთანა მატარებელს ბურები ახლოაც არ ეკარებიან, არას უშავებენ, სამაგიეროდ თუ მატარებელს იარაღი და სამხედრო მასალა მიაქვს, უსათუოდ დაეცემიან ხოლმე. ეს კიდევ არაფერია. მატარებლის მაშინისტები და ბურები თითქო საიდუმლო პირობით არიან შეკრულნი. მაშინისტები დანიშნულ ადგილს დააწყობენ ფქვილსა, შაქარს, ყავას და სხვა სურსათს, ბურები მიდიან და მიაქვთ. თავიანთ მხრივ ბურები ამ მაშინისტების მატარებლებს ხმას აღარ სცემენ. თუ მაშინისტმა პირობა დაარღვია, ვაი იმის ბრალი: ცუდი დღე დაადგება იმის მატარებელს».

«დეილი ნიუს»-ი ამბობს ამის თაობაზე: თუ ეს ამბავი მართალია, მაშ, სჩანს, ბურებს ინგლისელები სათამაშოდ გაუხდიათ და ინგლისის ჯარის ბედი მთლად ბურების ხელში ყოფილა.

✿ წარსულ ორშაბათს, იოჰანესბურგში, სასამართლოს განაჩენის თანახმად, ტრანსვაალის პროკურორად ნამყოფი დოქტორი ბრექსმა დახვრიტეს თოფით.

ბრექსმას აბრალებდნენ: ინგლისის მთავრობას ფიცი მისცა ნეიტრალიტეტს დავიცავ და მერე ეს ფიცი გატეხაო. ბრექსმა ურჩევდა ბურებს, სანამ პირში სული გიდგათ, ინგლისელებს ებრძოლეთ და ყველას უმტკიცებდა, ინგლისის მთავრობამ რომ ფიცი მიგვადებინა, ამ ფიცს ძალა არა აქვსო. საქმის გარჩევის დროს წაიკითხეს ბრექსმას წერილები დეიდსთან, შალკ-ბურგერთან, კრაუზესთან და სხვ. მიწერილი.

✿ ამას წინად დეპეშებმა ამბავი მოიტანეს: სიმაგრე იტალიასთან და პროსპექტთან მაიორმა ჩაპმანმა ბურები დაამარცხაო. ამ ბრძოლის თაობაზე დეპეშა მეტად უცნაურად იყო დაწერილი, ხალიჩასავით ჭრელი იყო: ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ, ზოგან ალისფერია. მაინც ეს ქართული ანდაზა ზედ გამოჭრილია ლორდ კიტჩენერის დეპეშებზე. მაგრამ ეს იმდენად მთავარ სარდლის ბრალი არაა, როგორც სამხედრო სამინისტროსი. სამხედრო სამინისტრო კი არა, სიცრუის სამინისტრო უნდა ერქვასო,—ამბობს გამოჩენილი ლიბერალ-დეპუტატი, მინისტრად ნამყოფი ვილიამ ჰარკორტი.

როცა ზემოხსენებული დეპეშა ინგლისში მოსულა, საზოგადოებას არ დაუჯერებია: სულ გვატყუებენ, მასხარად გვაგდებენო. ეხლა გაზეთები ამტკიცებენ: შეუძლებელია, რომ ბურებს იმოდენა ზარალი მოჰსვლოდეთო. თითონ კიტჩენერი იწერებოდა, ხსენებულის ბრძოლის შემდეგ იმავე დამარცხებულმა რაზმმა ბევრი ფურგონი და საქონელი წაართვა ინგლისელებსაო. ნამდვილად რომ ისეთი დიდი ზარალი მოსვლოდათ ბურებს, განა შეიძლებოდნენ-და ამისთანა გამარჯვებას? მერე რისთვის ჩააცივდებოდნენ იმ სიმაგრეებს, რისთვის შეაკლავდნენ თავს? ამ ბოლოს დროს ბურები სიმაგრეები ადებას სულაც არ ეტანებიან. დასასრულ ეს ამბავი კაფრებს მოუტანიათ და კაფრების სიცრუე კი მთელ სამხრეთ-აფრიკაშია განთქმული. ერთის სიტყვით, დასაჯერი არაა, რომ ბურებს ისეთი ზარალი მოსვლოდეთ, როგორც დეპეშაში ეწერა. ის კი უტყუარია, რომ ბურებმა ზულუსლანდში ბევრი სურსათი იშოვეს და რაც ვერ წაიღეს, სულ გაათხრეს. ასე რომ მთავარსარდალმა ბოტამ აქაც დიდი სამხედრო ნიჭი გამოიჩინა.

ინგლისი. წარსულ კვირას ბირმინგჰამში მთა-მადნის მუშებმა კრება მოახდინეს. კრებამ დაადგინა: ვეცადნეთ, 8 საათის სამუშაო დღე დავაწესებინოთ მთავრობასაო. ამას გარდა კრე-

---

თალალა. სულ ცეცხლს წაგიკიდებთ, გადაგბუგავთ!.. თქვენ სინსილას გავაწყობ ქვეყანაზე, თქვე ძაღლის ჯიშებო! (მიდის თავის ოთახისკენ).

ნიკოლა (თავისთვის). მითომ გველს ამაზე დაშხამული ენა ჰქონდეს? თავის ღლეში!..

თალალა (კარებიდან. მოიხედავს). რაო, რა ბრძანეთ?

ნიკოლა. ჭეშმარიტად, რომ ღვთისნიერი ადამიანი ხარ! (იქით.) ისემც ღმერთი გაგაჩანაგებს!

თალალა. ჰო, ეხლა შენ იფიქრე, შავი ძროხა თეთრ რძეს რათ იწველის?! (გადის)

ა. ცაგარელი.

ბიბლიოგრაფია

სამეგრელოს აღწერა არქანჯელო ლამბერტისა
იტალიურით ნათარგმნი (სამეგრელოს რუკით).
ტფილისი, 1901 წ. ფასი ერთი მანეთი.

ქართული მატიანეები მცირე ცნობას იძლევიან საქართველოს შინაურ ცხოვრების შესახებ. მაგალითად, იტალიელი მწერლები დიდის დაკვირვებით გვიხატვენ ქართველთა ყოფა-ცხოვრებას, განათლებასა და კულტურას. უცხოელ მწერალთა შორის ყველაზე დაწვრილებით ჩვენს ქვეყანას, სახელდობრ სამეგრელოს, აღწერს ზემორე ხსენებული ლამბერტი.

არქანჯელო ლამბერტიმ დაჰყო საქართველოში ოცი წელიწადი, 1633 წლიდან 1653 წლამდე და რაც ნახა აქ თავის თვალით, ყოველივე იგი დაბეჭდა ცალკე წიგნად ნეაპოლში, 1654 წელს. მასვე იქვე გამოუცია (1657 წელს) სხვა წიგნი—Colchide sacra, მაგრამ ეს თხზულება მთარგმნელს ვერ უნახავს პარიჟის საგვარტომო საწიგნეში.

არქანჯელოს თხზულება იწყება მოკლე მიმართვით მკითხველისადმი. დანარჩენი ცნობები მას დაუყვია 36 მუხლად. ყოველს მუხლში მკითხველს ესაუბრება რომელისამე თვალ-საჩინო საგნის შესახებ. აი რა და რა საგნებს ეხება იტალიელი ავტორი:

„კოლხიდის მდებარეობა და საზღვრები.—კოლხიდელების ჩამომავლობა.—აწინდელი მთავარი კოლხიდისა.—სამეგრელოს წოდებანი.—მეგრელების სახლები.—ტანისამოსი.—პურის ჭამა და წვეულება.—მიწად-მოქმედება.—ნადირობა.—მიცვალებულთა დასაფლავება.—ქურდობა.—დამნაშავეთა დასჯა.—საპყრობილენი.—როგორ სწარმოებს დავა.—ქორწინება.—ომის წეს-რიგი.—თამაშობანი.—ექიმები და ექიმობა.—მგზავრობა.—ზრდილობა და ერთმანეთის პატივის-ცემა.—სამღვდელოება.—დღესასწაულები და მარხვანი.—ცრუ- მორწმუნეობა.—ვაჭრობა.—კოლხიდის ბუნების სიმდიდრე და უწინარესი მისი ხალხი.—ჰავა.—მთები,—მდინარენი.—ზღვა.—თევზი.—ფრინველები.—ოთხ-ფეხნი.—ქვები და მინერალები.—ხეები და მცენარენი.—კოლხიდის თაფლი.—კოლხიდის რუკა.“

ეს არის შინაარსი ლამბერტის თხზულებისა.

საქართველოს მეფეები წინად ფრიად ძლიერნი იყვნენო. იმ დროს საქართველოს სამეფო უწვდებოდა—ერთის მხრით თავრიზამდის, მეორეს მხრით არზრუმამდის და მესამე მხრით კაფამდის, რომელიც ქერსონეთშია*). საქართველოს მეფეს ექვემდებარებოდენ აფხაზნი, ჯიქნი, ჩერქეზნი. არზრუმის მიდამოში ახლაც არისო ქართველი სოფლები, უწინ კი იქ იჯდაო ქართველი ეპისკოპოსი, „არზრუმელი“. **) ქართულ საყდრებით მოფენილია აფხაზეთი და ჯიქეთი. საყდრების წარწერები ყველა ქართულია. ანაკოპია და ბიჭვინტა პატრიარქის საჯდომი ადგილებია. სპარსეთის მხრითაც დღესაც იხილავთ ქართველთა სოფლებს, ნასახლ-კარებს...

მთავარი დადიანი ფრიად ნიჭიერი კაცია. იგი ჰკითხულობს მრავალ ქართულს საეკიმო წიგნებს. შესწავლილი აქვს მრავალი წასაცხები და სასმელი წამლები. ასეთის წამლებით სავსე აქვს ყუთი, რომელსაც თან დაატარებს და, საჭიროებისამებრ, ყველას ურიგებს... მისს სასახლეში ყველას, კარისკაცსა თუ ვინმე სხვას, საზრდო ეძლევა უსასყიდლოდ. სუსხიან ზამთარში თუ სხვა დროს იგი ყველას ურიგებს სამოსლად შალებს, აბრეშუმის ქსოვილებს. მას აქვს 50-ზე მეტი სასახლე, ზუგდიდისა ყველაზე უმჯობესია. აქაურ დიდებულებსაც რამდენ-რამდენიმე სასახლეები აქვთ...

მეგრელების ტანისამოსი მშვენიერია, დამასკის ქსოვილისაა ანუ ხავერდისა და ფარჩისა და შემკულია ოქროს ანუ მარგალიტის ღილებით. აქაური ქალები კეკლუცობაში ძალიან მიაგვანან ჩვენს ქალებს. ლეჩაქის ქვემო ჰხურავთ აბრეშუმის ქუდი, რომელიც გვირგვინსა ჰგავს და ამ გვირგვინს შეამკობენ ხოლმე ფრთით ანუ მშვენიერის ყვავილით..

სხვა-და-სხვა საგულისხმო ცნობებით სავსეა ლამბერტის წიგნი. დაწინაურებულს ქვეყნებში ამისთანა წიგნი, როგორიც ლამბერტის თხზულებაა, ხელითხელ საგოგმანებელი ხდება. ყველა გულმოდგინედ სწავლობს თავის წინაპრების ცხოვრებას, მათს ნაქმნარსა და ყოფა-ვითარებას. ჩვენ კი სხვათა მიბაძვის შნოც დაგვიკარგავს! ჩვენში ისტორიის შესწავლა მეტ ბარგად ითვლება!..

მ. ჯანაშვილი.

---

*) „ქერსონეთი“ ქართული სახელწოდებაა ხერსონისა (ყირიმისა), ქერსონეთად იწოდება ეს ქვეყანა ქართულს სვინაქსარებში, ეფთვიმე მთარგმნელისა და გიორგი მთაწმინდელის წიგნებში.

**) არზრუმის (ქართველთ არსენის) ჩრდილოეთ ქუჩას დღესაც ჰქვიან „ქართველთა შარა“ (იხ. გეოგრაფ. საზ. გამოცემანი).

ბამ დაადგინა: ჩვენი საზოგადოების ყოველმა წევრმა წელიწადში 1 შილინგი გადაიხადოს, ამ ფულით თანხა შევადგინოთ და მუშების წარმომადგენლები ავარჩიოთ ხოლმე პარლამენტის დეპუტატებადო.

ქალ. გრიმსბიში, მეთევზე მუშებმა 19 სექტემბერს კრება მოახდინეს და დაადგინეს: ჩვენი საქმის გადაწყვეტა სამედიატორო სასამართლოს მივანდოთ; სანამ საქმე გაირჩეოდეს, კაპიტალისტების პირობებს დავეთანხმოთ და მუშაობა დავიწყოთო.

გერმანია. მას აქეთ, რაც გერმანიის მთავრობამ გუნება შეიცვალა და პოლონელებს მტრობა დაუწყო, პოზნანის სასამართლოებში პოლიტიკური პროცესები ძლიერ გამრავლდა. წარსულ კვირას პოზნანის სასამართლომ ორი პოლიტიკური საქმე გაარჩია.

«ძაინიკ პოზნანსკიი»-ს რედაქტორს კაინაცკის თავისს გაზეთში დაეწერა: მასწავლებელმა დეკერტმა ურჩია მასწავლებელ გოიცეხოვსკის ქვრივს, რაც გინდა რომ, შენი ქმრის საფლავის ქვას პოლონურ ენაზე დააწერო და გააფრთხილა, ასეთის ზედ წარწერის წყალობით, შეიძლება პენსია დაჰკარგოო. რედაქტორს 300 მარკის გადახდა დააკისრეს; თუ ვინიცობაა ამ ჯარიმის გადახდა ვერ შეიძლო, მაშინ ერთის თვის ვადით ციხეში ჩასვენ.

მეორე საქმე ამნაირი იყო: ციურიხის უნივერსიტეტის უფლებათა დოქტორ ქალს როზა ლუქსენბურგს ბრალდებოდა—მინისტრს შტუდტს შეურაცხყოფა მიაყენა მით, რომ პოლონურ ენაზე წიგნი შეადგინა და გამოსცაო. ამ წიგნს სახელად ერქვა: «ეროვნების დაცვა». ბრალდებული ქალის დამცველმა სთხოვა სასამართლოს, სწორედ გაგვაგებინეთ რომელი სიტყვებია მინისტრისათვის საწყენიო. სასამართლომ მთელი საათ ნახევარი ითათბირა და შემდეგი სიტყვები აღნიშნა წიგნში:

«პრუსსიის მთავრობას პოლონელების გაწყვეტა უდევს გულში. საერო განათლების მინისტრმა განკარგულება მოახდინა და სამღვთო წერილის სწავლა პოლონურ ენაზე აღკრძალა. ამით პრუსიის მთავრობას პოლონელი ერის გაქრობა სწადიან. მინისტრი შტუდტი—პოლონელების მტერია: მისი წესების წყალობით პოზნანის საერო სკოლები მოსწავლეებს ამახინჯებენ. პრუსსიის მთავრობა 3 მილიონ მოქალაქე პოლონელს იმ თვალით უცქერის და იმნაირად ექცევა, თითქო პოლონელები დაბალი მოდგმის, უვარგისი ხალხი იყვნენ».

ბრალდებულის დამცველმა კირშნერმა, სხვათა შორის, სთქვა: «პოლიციამ მაშინვე მოახსენა, ყველაფერი დაწვრილებით ჩაუკენჯა პროკურორს, მაგრამ პროკურორმა ყურადღება არ მიაქცია ამ წიგნსა. მერე თითონ მინისტრმა შტუდტმა მისწერა და მოსთხოვა: ლუქსემბურგი სამართალში მიეცითო. კარგად ვერ გამიგია, ისეთი რა ნახა მინისტრმა, რა არის ამ წიგნში მაინც და მაინც საწყენი! მაგრამ ამ ბოლოს დროს რასაც კი პოლონელები იტყვიან, ყველაფერი საწყენათ მიაჩნიათ, გულში ჰხვდებათ მინისტრებს. მთავრობა რომ პოლონელების გაგერმანელებას ცდილობს, ეს ყველამ იცის, მთელს ქვეყნიერობას აქვს გაგებული. პოლონელები თავიანთ ეროვნებას, თავიანთ ენას იცავენ. ყველა, ყველა და ეს რადა საკადრისია, რომ სამღვთო წერილსაც კი უცხო ენაზე გვასწავლიან. პოლონელებს ისა სწყინთ, რომ უცხო ენას ძალით ასწავლიან, ძალით ახვევენ თავზე. და განა მართლა საწყენი არაა?—ეს გრძნობა ბუნებრივი და კანონიერი გრძნობაა.

პოლონელები რომ თავიანთ ენას იცავენ, აქ კანონის წინააღმდეგი არა არის რა, მით უმეტეს, რომ პოლონელები არაფერს კანონს არ არღვევენ. გერმანელებს ცაში აჰყავთ ავსტრიის გერმანელნი: ურჩადად იცავენ თავიანთ ეროვნებასაო, მაშ პოლონელებს რაღას უჩივიან, რაღად ამტყუნებენ? მაშ ხმაც არ ამოვიღოთ, არა დავიწყოთ-რა ჩვენი ერის დასაცველად? ბარემ მისპეთ ბეჭდვის თავისუფლება და ყველანი გააჩუმეთ».

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ სასამართლომ 100 მარკის გადახდა მიუსაჯა როზა ლუქსენბურგს.

ავსტრ-უნგრეთი. ლვოვის უნივერსიტეტის რექტორმა რიდიგერმა, რუსინი სტუდენტების თხოვნის თანხმად, განკარგულება მოახდინა: ამას იქით უნივერსიტეტის მთავრობა მოვალეა რუსინ სტუდენტებს რუსინულ ენაზე მისწეროს ხოლმე ქაღალდებიო. 25 ოქტომბერს მთავრობის თანხმობით ლვოვის უნივერსიტეტში ყველა რუსინი სტუდენტები კრებას მოახდენენ. კრებაზე სტუდენტები მოითხოვენ,—ლვოვის უნივერსიტეტში ყველა საგნებს რუსინულ ენაზედაც უნდა ასწავლიდნენო. აქამდე რუსინულ ენაზე მხოლოდ ხუთ საგანს ასწავლიდნენ.

ახალი ამბავი

◆ გუშინ დილას უავგუსტოესმა სტუმრებმა დაათვალიერეს კავკასიის მუზეუმი.

◆ გუშინ, დილის მეთერთმეტე საათზე უავგუსტოესი სტუმარნი: ელლინთა დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული, დიდი მთავრები მიხეილ ნიკოლოზის ძე და გიორგი მიხეილისძე მეუღლითურთ სადარბაზოდ ბრძანდებოდნენ საქართველოს ეგზარხოსთან მაღალ-ყოვლად უსამღვდელოეს ფლაბიანესთან; შემდეგ დიდი მთავრები მიხეილ ნიკოლოზის ძე და გიორგი მიხეილის ძე სადარბაზოდვე ბრძანდებოდნენ სომეხთა კათოლიკოსთან მკრტიჩ ხრიმიანთან.

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძეს, ებოძა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის სასახლის კამერგეროობა; ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს გენ.-მაიორს ი. გ. საგინაშვილს—წმ. სტანისლავის ორდენი 1-ლის ხარისხისა; გორის მაზრისას—თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილს და დუშეთისა გ. ა. ყარანგოზიშვილს—კამერ იუნკრობა.

◆ შინაგან საქმეთა სმინისტროში დაუარსებიათ საგანგებო კომისია, რომელმაც არსებული საქალაქო დებულება უნდა გადასინჯოს. კომისია, როგორც ისმის, პირველ ოქტომბრიდანვე შეუდგება საქმეს.

◆ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებიდან საიუბილეო დღესასწაულზე ჩამოსული სოფლის წარმომადგენლები ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებიან თავ-თავიანთ სახლებში.

◆ გუშინ წინ ტფილისის სასულიერო სემინარიაში გამართული იყო სალიტერატურო და სამუსიკო საღამო, რომელზედაც მიწვეული იყვნენ საქართველოს ეგზარხოსი, გურია სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე, იმერეთისა ლეონიდი, გორისა—კირიონი, კავკავისა—ვლადიმერი და სოხუმისა არსენი. პირველად შესრულებულ იქმნა ჰიმნი „ღმერთო ფარვიდე მეფესა“; შემდეგ სემინარიის რექტორმა მ. სტეფანემ წაიკითხა წერილი ამ სათაურით: „მიზანი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა“; შემდეგ რუსულ-ქართულად იმღერეს მომღერალთა გუნდმა ამავე სალიტერატურო საღამოზედ სემინარიის სამოქალაქო ისტორიის მასწავლებელმა ბ-ნმა ნ. დ. მახათაძემ წაიკითხა რეფერატი „საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა შეერთებამდე“.

◆ ადგილობრივ ადმინისტრაციას ცნობა მოუვიდა, რომ თიონეთის მაზრაში კვლავ გაჩენილა **საქონლის ჭირი.** სახელდობრ, ეს სენი აღმოუჩენიათ სოფლებ ქისტაურში, აკშანში და კორხელში.

◆ ს. წილკნიდან გვწერენ, რომ იქ საშინლად დარევია მცხოვრებთ **სისხა;** უფრო ბავშვები ხდებიან ავად და ბევრიც იმსხვერპლა. საექიმო დახმარება არსაიდან სჩანს.

◆ პირველ იანვრიდან კავკავის გზის ტფილისის სადგური გადადის ოლღას ქუჩაზე ეტლების ფაბრიკის სადგომში. ამ დღიდანვე ამ გზის კონტრაგენტმა უნდა შეამციროს ცხენების რიცხვი.

◆ სატყეო დეპარტამენტმა წინადადება მისცა **ტყის მოშენების** დაწესებულებათ, მეტის სიფრთხილით შეასრულონ ხოლმე თავიანთი საქმე და ახალ, ჯერ შეუმოწმებელ მეთოდებს გვერდი აუარონ, რადგან ხაზინას ეგ საქმე მეტად ძვირად უჯდება.

◆ ამ თვიდან, როგორც ვიცით, ბაქოს გუბერნიის **ფოსტა-ტელეგრაფის** სამმართველო ისპობა და მისი საქმეები ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს გადაეცემა. ამიტომ ამ უკანასკნელის მოსამსახურეთა შტატს მიემატება. სხვათა შორის, დაარსებული იქნება ახალი თანამდებობა უმთავრეს მეხანიკისა.

◆ გუშინ სხდომა ჰქონდა მებაღე-მეურნეთა კრების **ტყის მოშენების** სექციას. სხდომაზე წაკითხულ იქმნა ბ. ლისნევსკის მოხსენება «ფერგანის მხარეში ტყის მოშენებაზე».

◆ სატყეო დეპარტამენტის მოთხოვნით, ტფილისის ბოტანიკურ ბაღმა გაგზავნა სამხრეთ-რუსეთში **ხუთი ფუთი** თუთის თესლი ამ ხის იქ გასავრცელებლად.

◆ სატყეო დეპარტამენტს საბოლოოდ გადაუწყვეტია აღძრას კითხვა კავკასიაში **სატყეო კანონების** სავსებით გავრცელებაზედ და რადგანაც ამ საქმისათვის მოსამსახურეების ეხლანდელი შტატი საკმარისი არ იქნება, დეპარტამენტს განზრახვა აქვს მოუმატოს სათადარიგო ტყის მცველების რიცხვს.

◆ ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა გენ. ჟილინსკი, რომელსაც მინდობილი აქვს დაათვალიეროს კავკასიაში ყველ ჰიდრო-ტეხნიკური დაწესებულებანი, განსაკუთრებით მუღანის ველზე. როგორც ვიცით, ინჟ. პეტროვმა შეადგინა პროექტი მუღანის მორწყვისა, რომელიც უნდა დაჯდეს 260-ათასი მანეთი.

◆ ტფილისის ქალაქის **თავშესაფარის** გამგეობამ სთხოვა ქალაქი გამგეობას მალე შეამოწმონ თავშესაფარში მოხდენილი რემონტი, რადგან სიცივეები დადგა და თავშესაფარს ბევრმა ხალხმა მიმართა.

◆ სათანადო უწყებას განზრახვა ჰქონდა **გიმნაზიელების ფორმა** შეეცვალა. ეხლა, როგორც სატახტო ქალაქების გაზეთები იტყობინებიან, ამ განზრახვისათვის თავი დაუნებებიათ.

ხვალ, 30 სექტემბერს, გამოვა 8 გვერდი **„ცნობის ფურცლის“** სურათებიანი დამატებისა.

პრესსა

სეტყვა და გვალვა—აი საშინელი მტრები სასოფლო მეურნეობისა! სხვა მტერიცა ჰყავს მიწად-მოქმედებასა და მეურნეობას, მაგრამ ისეთი გამანადგურებელი და მძლავრი არც ერთი არ არის, როგორც სეტყვა და გვალვაა. სასოწარკვეთილი მეურნე არსაიდან ელოდა შველას: სეტყვა და გვალვა, განგების მიერ მოვლენილნი უბედურებანი, მას უძლეველი ეგონა. მაგრამ მეურნეობასაც მძლავრი მფარველი აღმოუჩნდა: მეცნიერებამ ჩასჭიდა ხელი მიწად-მოქმედების მტერთ და ლამის სრულიად დაამარცხოს ისინი ჩვენდა სასიხარულოდ. სეტყვასთან ბრძოლის შესახებ ჩვენ არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი, მკითხველებმა იციან, რომ სეტყვასაც არა ნაკლებ ჩინელებისა შინებია ევროპიელთა ზარბაზნების და სეტყვიანი ღრუბელი საკვირველის სისწრაფით იფანტება და მირბის ყუმბარისაგან. ახლა მეცნიერებას ხელი მიუყვია გვალვისათვის და მისი ძლევაც მოუნდომებია. ბოლო ხანებში კვლავ დაიწყეს ლაპარაკი, რომ ელექტრონის საშუალებით შეიძლება წვიმის გამოწვევა. პირველად ამას არავინ ყურადღებას არ აქცევდა; ამბობდნენ, თუმცა ეს შესაძლებელი არის, მაგრამ პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვსო და სხვა და სხვა. მეცნიერება ამგვარ მითქმა-მოთქმას ყურს არ ათხოვებს და თავის საქმეს განაგრძობს; დღეს იქნება თუ ხვალ, ის ენას მოაკვნეტინებს ფილისტერ-მოლაყბეთ. რომ ეს მალე იქნება, ამის ნიშნები ბევრია: აქა-იქიდან ამბები მოდის, რომ მეცნიერთა ცდა იმედებს იძლევაო. მაგალითად, „ნოვ. ვრემ.“-ს შემდეგი ცნობა ამოუკითხავს ინგლისურს გაზეთში:

„ამას წინად შესანიშნავი ცდა მოახდინეს იაპონელ ელექტრო-ტეხნიკებმა: ელექტრონის ძალით გამოიწვიეს წვიმა. გამოცდა მოხდა ფუკუსიმას პრეფექტურაში. გამოცდა დაიწყო დილის 11 საათზე და გაგრძელდა მეორე დილის 9 საათამდე. პირველად გამოჩნდა ღრუბელთა გროვა იმ მთის ზემოდ, რომელზედაც ელექტრონის მანქანები იყო დადგმული, მაგრამ ღრუბელი მალე გაიფანტა და გამომცდელნი, ცოტა არ იყოს, სასოწარკვეთილებას მიეცნენ. მოუმატეს ელექტრონის ძალას და მალე ღრუბელი ისევ გაჩნდა და დილის მეოთხე საათზე წამოვიდა პატარა წვიმა; გამომცდელებმა კვლავ მოუმატეს ელექტრონის ძალას; ახლა ღრუბელი თან-და-თან იზრდებოდა და მეთერთმეტე საათზე კოკისპირული წვიმა მოვიდა; წვიმდა არა მარტო საცდელ მთაზე, არამედ ირგვლივ კარგა დიდ მანძილზე. ამ ადგილებში დიდი ხანი წვიმა არ ყოფილიყო და გვალვისაგან დახეთქილი დედა-მიწა გაძლა ცხოველმყოფელის სტიქიონისაგან“..

ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი ლოცავდნენ ძლევა-მოსილ მეცნიერებას, რომელსაც ასეთი სასწაულთ-მოქმედების მოხდენა შეუძლია...

კავკასიის გამოფენა

გახსნის დღიდან აქამდე გამოფენაზე ყოფილა სულ 75,929 კაცი, რომელთაგან შემოსულა 13 ათას მანეთამდე ფული. უკანასკნელ ათის დღის განმავლობაში ხალხი ძალიან ცოტა დადიოდა ავდრების მიზეზით, ასე რომ გამოფენის დღიური შემოსავალი 80-82 მანეთი-ღა იყო. 27-იდან კი ისევ იმატა მომსვლელთა რიცხვმა.

**

ფინკის ფირმის წარმომადგენელს უთხოვია გამოფენის კომისარიატისათვის ნება მიეცა მისთვის გამოეცადა მისგან გამოფენილი სამეურნეო იარაღები სოფლებიდან საიუბილეო დღესასწაულზე ჩამოსულ ხალხის თანადასწრებით.

**

ქ. სტავროპოლს საკუთარი მეურნეობიდან წარმოუდგენია გამოფენაზე ეგრედ წოდებულ „შატილოვის შვრიის“ თესლი. თუ ქალაქს დაუჯერებთ, ერთ დესიატინაზე დათესილ 8 ფუთ ამ შვრიაზე მას მოსვლია 191 ფუთი.

**

ბ. ბაბილიოვმა (პიატიგორსკიდან) წარმოადგინა გამოფენაზე აცეტილინის ლამპები. ბაბილიოვს განზრახვა აქვს აცეტილინის განათების დემონსტრაცია მოახდინოს გამოფენის მოედანზე.

ს. მიხაილოვსკიდან (თერგის ოლქი) კარასევს გამოუგზავნია გამოსაფენად თავისი ნაკეთები ვერცხლის ნივთები. ნივთები მშვენიერი ნაკეთებია.

პროვინცია

დ. აბაშა. აქაური ნასწავლი პირების ინიციატივით შარშან გაიგზავნა თხოვნა, სადაც ჯერ იყო, სამარხი კასსის დაარსებაზე დ. აბაშაში ფოთის კასსის მსგავსად. სამინისტროსგან დამტკიცებული კასსის წესდება მოუვიდა აბაშელებს ამ რამდენისამე თვის წინად. დანიშნეს კრება. კრებას დაესწრო ადგილობრივი და ახლო-მახლო სამღვდელოება, დეკანოზი—ბლაღოჩინითურთ, გარშემო მცხოვრები კეთილ-შობილნი, აქაური ინტელიგენცია, რკინის გზის მოსამსახურე პირები, შეგნებული ვაჭრები, ფოთის სამარხი კასსის სამმართველოს წევრი და ბევრი სხვა გარეშე მცხოვრებლები. კრება გახსნა კვათანის (აბაშაშია) ნორმალურ სასწავლებლის მასწავლებელმა მამა ფ. შომახიამ. თავმჯდომარედ კრებამ ამოირჩია აბაშის აფთიაქის პროვიზორი ბ. გრ. იმხნელი მან განუმარტა კრებას ზოგიერთი წესდების ადგილები; შემდეგ კრებამ გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩია: ბ-ნი ექიმი ხუსკივაძე, თავადი გ. ჩიჩუა, მღვდელი შომახია, ზედამხედველი ნორმალური სასწავლებლისა და მასწავლებელნი ფ. დგებუაძე, მ. კორძახია, ჯ. ჩიქოვანი, ო. გუგუშვილი და ადგილობრივი ფერშალი გაბელაია. კრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მოქმედებაზე შეადგინეს ოქმი და ყველამ, კასსაში ჩაწერის მსურველებმა, მოაწერეს ხელი და ფული შემოიტანეს. მოქმედება კასსისა იმავე დღიდან დაიწყო. გადმოიღეს ფოთის კასსის ყველა წესები. ამ დროებით არის 165 წევრი და საქმე დაყენებულია სასურველ ნიადაგზედ.

საჭურინდელი.

თიანეთი. 24 მარიამობისთვეს, თიანეთშა სცენის-მოყვარეთაგან გამართულ იქმნა წარმოდგენა თიანეთის უფასო სამკითხველო-ბიბლიოთეკის სასარგებლოდ; ითამაშეს ორ მოქმედებიანი კომედია ცაგარლისა «ბაიყუში». მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ე. ჯღუთოვისა, თავ. ი. მაყაშვილი, გ. ხარიტონაშვილი, ა. ჩხაიძე და ვ. სირაძე. წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. იმღერეს ქართული სიმღერები ბ. გ. მათურელის დირიჟორობით. დასასრულ გაიმართა ცეკვა. წარმოდგენას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა.

ფულად შემოსწირეს თიანეთის უფასო სამკითხველო-ბიბლიოთეკას: თავ. ნ. ზ. ჩოლაყაშვილმა—5 მან., თ. ქ. რ. ბარათაშვილმა—5 მ., თ. ვ. გ. ბარათაშვილმა—5 მ.: თ. დ. ჭავჭავაძემ—5 მ., ნ. კ. ფურცელაძემ—5 მ., ბ. ა. დარიონოვმა—5 მ. თ. ა. ნ. დიასამიძემ—8 მ. 90 კაპ. თ. ნ. გ. ჭავჭავაძემ—4 მ., თ. ვ. თარხნიშვილმა—2 მ., თ. ი. მაყაშვილმა—1 მ. 25 კ. და ი. ს. ოზიაშვილმა 1 მ. 20 კ., შემოსავალი იყო: ბილეთების—30 მ. 88 კ., შემოწირულობა—48 მ. 90 კ., ხარჯი—8 მან. 84 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა—70 მან. 94 კ. წარმოდგენის გამართვას მოთავეობდა ექიმი ა. ნ. დიასამიძე.

დ. გ—შვილი.

ძველი სენაკი. წელს ჩვენს დაბერებულს დაბასაც კი დაეტყო გამოცხიზლება. აქაურ სათავად-აზნაურო სკოლაში წელს ძლიერ უჭირდათ მსურველთ ადგილის მოპოვება; ნამეტურ ორ განყოფილებაში, რომლებშიაც შესვლის მსურველთა რიცხვმა ორმოცდა-ათს გადააჭარბა. მიღებულ იქმნა სულ 81 მოწაფე. ასე, რომ დღეს სასწავლებელში ირიცხება 177 ქალ-ვაჟი. აქაურსავე სამინისტრო ერთ-კლასიან სკოლაში ხომ სულ ტევა არ არის. აქ მოსწავლეთა რიცხვი 80-ს აღემატება და თუ რომ აქაურ შეგნებულ პირთა დახმარებით და დეკანოზ ქავთარაძის თაოსნობით ქალთა სამრევლო სკოლა არ გახსნილიყო ამ დღეებში, მაშინ ხომ სრულიად შეუძლებელი იქნებოდა სწავლის მსურველთა რიცხვის დაკმაყოფილება.—

ეს ახალი სკოლა სწორედ სულზედ მისწრებაა ამ დაბისათვის. სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ ადგილობრივ მკვიდრთ დედათა სქესის სწავლის მნიშვნელობის ალღო აუღიათ და კიდევაც სიამოვნებით აბარებენ თავიანთ ქალებს სკოლაში. სააზნაურო სკოლაშივე 30-მდე ქალი სწავლობს. ერთი ამდენი სამინისტრო სკოლაშიც იყო. ხოლო კარგათ მოგეხსენებათ, თუ რამდენად ხელ-საყრელი და ნაყოფიერია, ქალისთვის ნამეტურ, იმისთანა სკოლაში სწავლა, რომელშიაც «ბევრს» ასწავლიან თითქოს იმ მიზნით, რომ არაფერი იცოდნენ; და რომ ეს ასეა, ამის დასამტკიცებლად საკმაოა შეხვიდეთ სამეგრელოს რომელსამე სკოლაში, მოისმინოთ მოსწავლე გლეხიქალის პასუხები, დააკვირდეთ მის სახის გამომეტყველებას და დაეკითხოთ თავს: «რად გარდუქმნიათ ეს გონიერი არსება მეხანიკურ მოდიკლიკე მანქანათ, რა ცოდნით წავა ის სკოლის დასრულების შემდეგ ხალხში; რა პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება მისთვის იმას, რომ დღეს ის «ПѢТУШОКЪ-ПѢТУШОКЪ»-ს თუთიყუშივით «ახხმარტალებს» ან და იმას, რომ «ОТЧЕ НАШЪ»-ს თავიდგან ბოლომდე სულ მოუთქმელად «ჩაარაკრაკებს». ნეტავ ერთი სიტყვა მაინც თუ გაეგება ამ «ОТЧЕ НАШЪ»-ის სამშობლო ენაზე.

სწორედ ამ მწვავე შედეგის გათვალისწინებამ აღძრა ქალთა სამრევლო სკოლის დაარსების სურვილი აქაურ შეგნებულ პირთა შორის და წელს ეს კეთილი განზრახვა პატივცემული დეკანოზის თაოსნობით შესრულდა კიდეც,—პირველ დღესავე ახალ სკოლაში ოცდა-ათამდე მოსწავლე ქალმა მოიყარა თავი.

ჯერ-ჯერობით სკოლა მოთავსებულია კერძო სახლში, ხოლო თავდარიგი საკუთარი შენობის შენებისათვის უკვე მიღებულია. იმედიც არის, მალე ეს მესამე სკოლაც დაუმშვენებს გვერდს აქაურ სასწავლებლებს.

პ. ლ—მე.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 25 სექტემბერს

გაქსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,85
ბერლინზე 100 მარკაში	45,97½
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,45
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,50
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96 ⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	443 „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	327 მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	241 „
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—
4½% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	89½ გაყიდ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. 9) ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ- 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლის ედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ბაჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფებისთვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ქუთაისში 13 სექტემბერს, **დაიკარგა** ნოტარიუსის მიერ მოცემული საბუთის ქაღალდები. მპოვნელი მიიღებს საჩუქარს. ვსთხოვ გამოგზავნოს ოზურგეთში, იასე ორაგველიძეს. (5—171—3)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ 1901 წლის, 2 ოქტომბერს, მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით იჯარით გაიცემა ქუჩის ნიპირების მოკირწყვლა: 1) არსენალის გზა-ტკეცილზე, 800 ოთხ კუთხი საჟენზე; 2) ლაზარევის ქუჩაზე, 300 ოთხ-კუთხ საჟენზე; 3) კახეთის გზა-ტკეცილზე, 800 ოთხ-კუთხ საჟენზე; 4) რკინის გზის ლიანდაგიდან კატეროვისა და ანტონიევის ქუჩების კუთხემდე, 315 ოთხ-კუთხ საჟენზე; სულ მუშაობა 5500 მანათისაა.
ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობანი გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—3)

ცინკოგრაფია
წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.
(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. (1000—31)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ
საკერავს:
კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).
ბარონის ქუჩა, № 12 (10—4)

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში
ისყიდება თარგმანები
ივ. მაჭავარიანისა:
გლეხი-კაცის ისტორია (ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა) 4 ნაწილად. . . . ფასი 2 40
ბრძყალები, დრამა 3 მოქ. „ — 30
იუდითი, დრამა 5 მოქმედ. „ — 30
ტარტიუფი, ანუ მუზმუზელა, კომედია 5 მოქმედ. „ — 50

ისტორიული თხზულება (რუსულად)
ზ. ავალიშვილისა
საქართველოს შეერთება რუსეთთან
ფასი 1 მან. 50 კაპ.
გამოცემის საწყობი „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაშია. ისყიდება იქვე და ლ. ხიდეკელთან. წიგნი შეიძლება დაიბარონ ფასის ზედ-დადებით.

ახალი წიგნი
სამეგრელოს აღწერა
არქანჯელო ლამბერტისა
იტალიურით ნათარგმნი
ალექსანდრე ჭყონიასი
(სამეგრელოს რუქით)
ფასი 1 მანეთი
დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და ისყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, ისყიდება გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს ნომრები. ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი.

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის
კიოსკში
ისყიდება ყველა ქართული გამოცემანი. ლორის მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, საკუთარ შენობაში. (20—2)

ტელეფონი № 741.
საავთმყოფო საქონლით მოვაჭრე
ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო
იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ-გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.
დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).
განყოფ ლება
სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
განყოფილებას განაგებს ილ. გ. ჩუბინაშვილი.
ადრესი ფოსტისა· Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову. (100—49)
ადრესი ტელეგრამის: Тифлисъ. „Фармацевтика“

დაიბეჭდა და ისყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში:** შ. არაგვისპირელის **პირველი წიგნი,** ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა „**დამონებულნი**“, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ. Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Сентября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა